ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის N14 ოლქის მაჟორიტარი წევრის ქეთევან მამულაშვილის ანგარიში 2019 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში შედგენილია საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქეთევან მამულაშვილი - საკრებულოს წევრი, სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ წევრი, საკრებულოს იურიდიული კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრი, გენდერული საბჭოს წევრი, ევროპის რეგიონთა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის (CORLEAP) დელეგაციის წევრი.

სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრის საქმიანობა საკრებულოში

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 17 სხდომა, აღნიშნულ სხდომებზე მიღებულია 112 დადგენილება და 371 განკარგულება. ჩატარებული სხდომებიდან ქეთევან მამულაშვილი დაესწრო 15 სხდომას.

მან აქტიურად მიიღო მონაწილეობა საკრებულოს სხდომების ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვაში.

ინფორმაცია ქეთევან მამულაშვილის ფრაქციაში ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“ გაწეული საქმიანობის შესახებ

,,ქართული ოცნება-კონსერვატორების“ შემადგენლობაში შედის საკრებულოს წევრები. ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ჯერდება პოზიციები. ფრაქცია “ქართული - ოცნება კონსერვატორებმა“ ჩაატარა 12 სხდომა, საკითხთა რაოდენობამ შეადგინა 19.

უმრავლესობის ფორმატში ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთან" ერთად ჩატარდა 20 სხდომა, აქედან მაჟორიტარი დაესწრო 10 სხდომას, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობამ კი შეადგინა 21.

ფრაქციის სხდომებზე განხილული იქნა დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი საკითხები :

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო პროექტი;

სამშენებლო რეგულაციები;

მუნიციპალური ტრანსპორტის შემოყვანა;

კოეფიციენტების მატების და k2 კოეფიციენტის გადაჭარბების აღკვეთა;

ქ.თბლისის მუნიციპალიტეტის მეტროში შექმნილი პრობლემები;

სოციალური პროექტები;

მაჟორიტარული რაიონების მუშაობა;

ტაქსების რეგულირების საკითხი და სხვა მრავალი აქტუალური თემა;

ინფორმაცია კომისიებში მუშაობის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრი ქეთევან მამულაშვილი აქტიურად არის ჩართული იურიდიულ საკითხთა და სარევიზიო კომისიის მუშაობაში.

სარევიზიო კომისია:

სარევიზიო კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 17 კომისიის სხდომა, რომელშიც აქტიურად იმუშავა მაჟორიტარმა, ჩატარებული სხდომებიდან დაესწრო 16 კომისიის სხდომას. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 32 საკითხი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 12 კომისიის სხდომა, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული მაჟორიტარი და დაესწრო 11 კომისიის სხდომას. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 304 საკითხი.

ქეთევან მამულაშვილის სახელზე გაიცა 12 საშვი.

ინფორმაცია ევროპის რეგიონთა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის (CORLEAP) დელეგაციის წევრის მონაწილეობის შესახებ

თბილისის საკრებულოს წევრმა ქეთევან მამულაშვილმა, ფინეთის ქალაქ ტურკუში, აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა კონფერენციის (CORLEAP) მე-9 ყოველწლიურ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

შეხვედრაზე თანამშრომლობის პროგრამების საშუალებით ხალხთა შორის კონტაქტების დამყარების, საჯარო ადმინისტრაციის ჩამოყალიბების და ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლების მიერ, აღმოსავლეთ პარტნიორობის განვითარების პროცესში მონაწილეობის საკითხები განიხილეს.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მატი ანტონენი, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანა ვესტერჰოლი და ევროპარლამენტის რეგიონალური კომიტეტის პრეზიდენტი კარლ-ჰეინ ლამბერტი.

CORLEAP-ში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელობას, თბილისის საკრებულოს წევრი ქეთევან მამულაშვილი, კვლავაც გააგრძელებს.

მაჟორიტარი წევრისა და მისი წარმომადგენლობის ერთობრივად გაწეული საქმიანობის შესახებ

აღნიშნულ დოკუმენტში განხილული იქნება რაიონულ გამგეობებთან, ქ.თბილისის მერიასთან, და ასევე კერძო სექტორთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად გაწეული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და განხორციელებული ღონისძიებები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი

საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკრებულოს მაჟორიტარი წევრის

უფლებამოსილების ვადით შექმნილი წარმომადგენლობა, კვლავაც აგრძელებს ყოველდღიურ ნაყოფიერ მუშაობას.

სამგორის N14 ოლქის საზღვრებში შედის მთლიანად მოსკოვის გამზირი, ქვემო სამგორისა და აფრიკის დასახლება და მათი მიმდებარე ქუჩები, რაც ფიზიკურად მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას.

წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩეველთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში მაჟორიტარი წევრის მუდმივი ინფორმირება და მასში მაჟორიტარის მონაწილეობის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა.

წარმომადგენლობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს მოქალაქეთა მიღებას წარმომადგენლობის ოფისში, ასევე გეგმავს საჯარო შეხვედრებს, აწარმოებს მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების, საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას და შესწავლას, აკეთებს შესული წერილებისა და განცხადებების ანალიზს და ახდენს მათზე რეაგირებას. უზრუნველყოფს მაჟორიტარის, როგორც საკრებულოს წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან, კერძო ან საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ასევე მედია საშუალებებთან ურთიერთობას.

წარმომადგენლობა ეხმარება საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატს ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში. მოქალაქეებთან კომუნიკაციასა და კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში.
წარმომადგენლობა მზადაა, შეასრულოს ნებისმიერი კანონით ნებადართული ფუნქცია, რათა ხელი შეუწყოს მაჟორიტარი წევრის ეფექტიან და ნაყოფიერ მუშაობას.

წარმომადგენლობა თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ

მიღებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე. იგი მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმართველობის განმახორციელებელ ორგანოებთან: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიებთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან, მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს სამგორის რაიონის გამგეობასთან და მისი სტრუქტურული ერთეულის -ქვემო სამგორის საუბნო განყოფილებასთან.

წარმომადგენლობა აქტიურად თანამშრომლობს ასევე შემდეგი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებსა და კომპანიებთან, კერძოდ:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო;
- სოციალური მომსახურების სააგენტო;
- შპს ,,ყაზტრანსგაზი“;
- სს. ,,თელასი“;
- კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი (GWP) ;
- ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.

წარმომადგენლობას მჭიდრო კომუნიკაცია აქვს ასევე, საქართველოს პარლამენტის სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებთან.

წარმომადგენლობა ფუნქციონირებს ყოველ სამუშაო დღეს დილის 9:00სთ-დან 18:00სთ-მდე. ოფისში მოქალაქეთა მიღება მიმდინარეობს ყოველდღიურად. კვირის ერთი სამუშაო დღე, კერძოდ ოთხშაბათი - გამოყოფილია მაჟორიტარ დეპუტატთან მოქალაქეთა მიღებისათვის. შესაბამისად, მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შევხვდით 1000-ზე მეტ ადამიანს და მოვახერხეთ 40-მდე შეხვედრის ორგანიზება.

შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა არის სხვადასხვა სახის.

კერძოდ სოციალური, ჯანდაცვის, ურბანული და ინფრასტრუქტურული, სამართლებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო. ყოველ კონკრეტულ საკითხს წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად განვიხილავთ დამოუკიდებლად და ასევე საერთო ჭრილში. საკრებულოს წევრის კომპეტენციის ფარგლებში ყველა მოქალაქეს, პრობლემის მიხედვით გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცია, როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი ფორმით შუამდგომლობის სახით.

ოლქის მაცხოვრებლებთან აქტიური შეხვედრები წარმომადგენლობის მთლიან გუნდს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიცოდეთ რეალური პრობლემები, ხელი შევუწყოთ მათზე დროულ რეაგირებას და ნაყოფიერად ვიმუშაოთ ქალაქისათვის და კონკრეტულად ჩვენი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობისათვის აქტუალური პრობლემების გადაჭრისათვის.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ ხშირია მოქალაქეებთან საცხოვრებელ ადგილებზე და სხვადასხვა სახის შეხვედრებზე გასვლის პრაქტიკა, რამაც ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. ადგილზე მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციამ უფრო მრავალფეროვანი გახადა იმ პრობლემების სპექტრი, რაც მოსახლეობას აწუხებს. სულ საანგარიშო პერიოდის მანძილზე მოხერხდა ასეთი 40 მდე გასვლითი შეხვედრის ორგანიზება, რის შედეგადაც შევხვდით დაახლოებით 1000-ზე მეტ ადამიანს. აქედან 37 შეხვედრა დავუთმეთ მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების დათვალიერებას. ყოველ ასეთ შეხვედრაზე მაჟორიტარი წევრი და ასევე წარმომადგენლობის თითოეული თანამშრომელი მოსახლეობის ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დასრულებული პროექტების, სტადიონი იქნება ეს, სკვერი, ფანჩატური თუ ტრენაჟორები მათი შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა და თაობებისათვის უვნებლად გადაცემა. აღვნიშნავთ, თუ რამხელა ძალისხმევა, შრომა და ფულადი რესურსებია დახარჯული ამ პროექტებისათვის.

მიმდინარე წელს თბილისის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით და მაჟორიტარის ჩართულობით სამგორის რაიონში ემირ ბურჯანაძის სახელობის ქუჩა გაიხსნა. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის გადაწყვეტილებით, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მონაკვეთს, მასთან არსებულ ოთხ შესახვევს, სამ ჩიხსა და ერთ გასასვლელს მხატვარ-მონუმენტალისტის, ემირ ბურჯანაძის სახელი მიენიჭა. ცერემონიას ემირ ბურჯანაძის ოჯახის წევრები, მეგობრები, პარლამენტის და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, სამგორის რაიონის გამგებელი დაესწრნენ. ღონისძიება სიმბოლურად მხატვრის გარდაცვალებიდან 5 წლისთავს დაემთხვა.ქუჩისთვის ემირ ბურჯანაძის სახელის მინიჭების საკითხზე საკრებულო რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა. ამ ღვაწლმოსილი ადამიანის გარდაცვალებიდან 5 წლისთავზე მისი სახელობის ქუჩა გაიხსნა. ქართველი გრაფიკოსის და მხატვარ-მონუმენტალისტის ემირ ბურჯანაძის მიერ შექმნილი 7 საფირმო ნიშანი საფირმო და სასაქონლო ნიშნების საერთაშორისო კატალოგშია შესული.

ასევე ჩვენი მუშაობის პერიოდში, განსაკუთრებით კი დღესასწაულების დღეებში ხშირად ვართ მიწვეული და ვესწრებით სხვადასხვა ღონისძიებებს სკოლებში, ასევე სკოლამდელ დაწესებულებებში.

ამა წლის იანვრიდან დღემდე წარმომადგენლობაში და საკრებულოში მაჟორიტარი წევრის, ქეთევან მამულაშვილის სახელზე შემოსულია ათეულობით განცხადება სხვადასხვა სახის მოთხოვნებით. მათგან უმრავლესობა შეეხება ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, ბევრი მოქალაქე ითხოვს მიწის დაკანონებას, ხშირია მოთხოვნა მიზნობრივ დახმარებებზე, ასევე მედიკამენტოზურ და ოპერაციულ მკურნალობებზე, ასევე მწვავედ დგას დასაქმების პრობლემაც.

სულ წლის დასაწყისიდან ოქტომბრის ჩათვლით, 10 თვის განმავლობაში გაიცა 191 შუამდგომლობა მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე, აქედან:

- ინფრასტრუქტურა - 25
- მედიკამენტის დაფინანსება - 19
- მიზნობრივი დახმარება - 47

- სამედიცინო გამოკვლევა და დიაგნოსტიკა - 5
- ოპერაციის ხელშეწყობა - 7
- დასაქმება - 19
- სოციალური საცხოვრისით დაკმაყოფილება - 3

- მიწის ნაკვეთის გაფორმება - 5
- სოციალური სტატუსის აღდგენა -6
- სასჯელაღსრულება-2
- დავალიანების ჩამოჭრა - 2
- GWP - 10
- ელ.მრიცხველის მონტაჟის დაჩქარება-2
- ქირის აღდგენა - 1
- ქონების მართვა - 4
- თბილსერვისჯგუფი - 3
- ტრანსპორტის საქალაქო სამსახური - 6
- ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური - 2
- მერიის სხვადასხვა საქალაქო სამსახურები - 12
- ყაზტრანსგაზი - 3
- ბმა- 1
- დევნილთა სამინისტრო -5
- განათლების სამინისტრო -1
- და სხვა--1

სამგორის N14 ოლქში ჩვენი შუამდგომლობით და სამგორის რაიონის გამგეობასთან და პირადად გამგებელთან ინტენსიური სიტყვიერი თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

სამგორის რაიონის ინფრასტრუქტურული პროექტები

გზის საფარი, საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოების კეთილმოწყობა, ბორდიულის მოწესრიგება, ზებრა გზებზე.

გზები

- ქვ. სამგორი. მოსკოვის გამზ. კორპ N36გ -N 36დ - N36ბ;
- ზემო მეტალურგიის ქუჩა ქინძმარაულის N37
- წმინდა ბარბარეს უბანი სახლი 189, 190, 191, 192,177 და 185 ის მისასვლელი გზა;
- ბოგდან ხმელნიცკის 181, ყოფილი 31- ე ქარხნის მისასვლელი გზა;
- ქინძმარაულის მე-2 შესახვევი კორპუსი N9;
- კახეთის გზატკეცილი N65;
- წმ. ბარბარეს უბანი. კორპუსი N 183;
- კახეთის გზატკეცილი N65;
- ცისკარიშვილის ქუჩა . კორპუსი N 2ა;
- ქიზიყის ქუჩა - ცენტრალური გზა

- გარდაბნის გზატკეცილი N 94 ის მიმდებარედ;
- გარდაბნის გზატკეცილი N 94ა - ს მიმდებარედ;
- მოსკოვის გამზირი კორპ N38
- მოსკოვის გამზირი კორპ N48ა ეზო
- გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N74-ის მიმდებარედ
- ემირ ბურჯანაძის ქუჩის 1-ი შესახვევი
- მოსკოვის გამზირი კორპ N19-ის და მოსკოვის გამზირი კორპ N33/5 -ის მიმდებარედ
- ქინძმარაულის 1-ი შესახვევი კორპუსი N1-ის მიმდებარედ
- ჭიჭინაძის ქუჩა N19-დან კორპ N25-ის ბ. ჭიჭინაძის ქუჩიდან კორპ. N29ა-ს მიმდებარედ და ენგურჰესისა და მ. ცისკარიშვილის ქუჩების ეზოები

სანიღვრე ქსელი მოწესრიგდა და საკანალიზაციო ქსელი მოეწყო:

- იდუმალას ქ. N1
- მოსკოვის გამზ. N33/5
- ქინძმარაულის შეს. კორ. 11
- წმინდა ბარბარეს უბანი
- მოსკოვის გამზირი, N38-38ა
- წმინდა ბარბარეს უბანი N193-დან ნაკადულის N1 გასასვლელამდე- სანიაღვრე;

- მოსკოვის გამზირი N 38 და N 38ა - სანიაღვრე;
- იდუმალას ქ კორპუსი N1 - საკანალიზაციო ქსელი;
- მოსკოვის გამზირი N 33 , კორპუსი N 5 - საკანალიზაციო ქსელი;

ფანჩატური,სკვერი, სტადიონი და ფიტნეს ზონა მოეწყო:

- გუმათჰესისა და ცისკარიშვილის ქუჩებს შორის - სტადიონი;
- წმინდა ბარბარეს უბანი . გარდაბნის გზატკეცილი N 145 და N 146 შორის- სკვერი
- მოსკოვის გამზირი მე-5 კვ, კორპ N5 ის მიმდებარედ-ფანჩატური
- გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი #10-ის მიმდებარედ - - მოეწყო ფიტნეს ზონა ტრენაჟორებით;
- ქიზიყის ქუჩა, კორპუსი #9-ს მიმდებარედ - მოეწყო სკვერი;
- გუმათჰესის ქუჩა, კორპუსი #2-ის მიმდებარედ - მოეწყო სკვერი;
- ბ. ხმელნიცკის 5ა - დაიდგა ფანჩატური;
- ბ. ხმელნიცკის 4 – დაიდგა ფანჩატური;
- მოსკოვის გამზირი N38 - დაიდგა ფანჩატური;
- ქინძმარაულის შესახვევი კორპუსი N10 -ტრენაჟორები
- ქინძმარაულის შესახვევი კორპუსი N25ა -ტრენაჟორები
- ქინძმარაულის შესახვევი კორპუსი N30- ტრენაჟორები
- ჭიჭინაძის ქუჩა კორპ N7ის მიმდებარედ - ტრენაჟორები
- ჭიჭინაძის ქუჩა კორპ N29დ -ტრენაჟორები
- ბ/ხმელნიცკის ქუჩა კორპ N16-ტრენაჟორები
- გრ. ლორთქიფანიძის ქუჩა N26 (სტადიონთან) ტრენაჟორები
- ქიზიყის ქუჩა N34 - ფანჩატური
- ქინძმარაულის ქუჩა წმინდა სერგეი რადონეჟელის სახ. ტაძარი -ფანჩატური
- აფრიკის დას. მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი - ფანჩატური
- ქინძმარაულის შესახვევი N10- ფანჩატური

- ნაკადულის ქუჩა N8 - ფანჩატური
- ჭიჭინაძის ქუჩა N9 - ფანჩატური
- ნაკადულის ქუჩა N2 - ფანჩატური
- მე-2 ნავთლუღის დასახლება , რაზიკაშვილის ქ N37გ - ფანჩატური
- გარდაბნის გზატკეცილი N146 და N145 კორპუსებს შორის - მოეწყო სკვერი
- მოსკოვის გამზირი კორპ N36ის და კორპ N36ბ სკვერი, სტადიონი
- გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N142ის მიმდებარედ საბავშვო სკვერის მოწყობა.
- ქიზიყის ქუჩა N16ის მიმდებარედ საბავშვო სკვერის მოწყობა
- მოსკოვის გამზირი, კორპ N36-ის და კორპ N36ბ მიმდებარედ მოეწყო სპორტული მოედანი
- მოსკოვის გამზირი. კორპ N36ვ, N36ე და N36ბ მიმდებარედ- სკვერი-სტადიონი;
- ძმები ოცხელების ქ. კორპ 24-ის მიმდებარედ სტადიონი
- პოლიციის ქ. N13 - კიბე-კედელი
- მოსკოვის გამზირი №33-ში, №86 ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე- კიბის და მოაჯირის მოწყობა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების ახალი წესის შესაბამისად მოწესრიგდა:

- ჭიჭინაძის 10 ა. კორპუსი N2 - დამონტაჟდა საგარბაზოს კარი;
- ჭიჭინაძის 10ა. კორპუსი N2 - ჩატარდა სადარბაზოს რემონტი;
- მოსკოვის გამზირი, მე-5 კვ. კორპუსი N11 - დამოტაჟდა სადარბაზოს კარი;
- ბ. ხმელნიცკის ქუჩა, კორპისი N1 - დაყენდა სენსორული განათება;
- ბ. ხმელნიცკის ქუჩა, კორპუსი N 1 - ლიფტი;
- ბაბუციძის ქუჩა, კორპუსი N 3 - გაკეთდა შიდა წყალკანალიზაცია;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუსი N 9 - დაყენდა სენსორული განათება;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუსი N9 - დაყენდა სადარბაზოს კარი;
- ენგურჰესის ქუჩა N1 - გადაიხურა ქანობიანი სახურავით;
- მოსკოვის გამზირი N33, კორპუსი N 5 - დამონტაჟდა სადარბაზოს კარი;

- ლორთქიფანიძის ქუჩა, კორპუსი N 24 - დამონტაჟდა სადარბაზოს კარი;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუსი 24ვ - გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- გარდაბნის გზატკეცილი, კორპუსი N24ა - გადაიხურა ქანობიანი სახურავით;
- გარდაბნის გზატკეცილი, კორპუსი N24ა - გაკეთდა წყალსაწრეტი მილები;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუსი N27 - გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- ჭიჭინაძის ქუჩა , კორპუსი N 27 - გაკეთდა შიდა წყალკანალიზაცია;

- ქიზიყის ქუჩა, კორპუსი N 7ბ - გაკეთდა შიდა წყალკანალიზაცია;
- მოსკოვის გამზირი, კორპუსი N36ე - დაყენდა სენსორული განათება;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუსი N27 - გაკეთდა წყალსაწრეტი მილები;
- ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუსი N 7 - გაკეთდა შიდა წყალკანალიზაცია;
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი N 17 - გაკეთდა ლიფტი;
- მოსკოვის გამზირი, კორპუსი N 50ა - გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- ენგურჰესის ქუჩა N 1 - გაკეთდა წყალსაწრეტი მილები;
- ა. ზაალიშვილის ქუჩა N4, ყოფილი ჭიჭინაძის ქუჩა, კორპუსი N29მ - დაყენდა სენსორული განათება;
- მოსკოვის გამზირი, 1 კომპლექსი, კორპუსი N1 - ამოივსო და მოწესრიგდა სართულშუა ნაპრალები;
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი N 1 - გადაიხურა ბრტყელი სახურავით.
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი N 1 - გაკეთდა წყალსაწრეტი მილები;
- მოსკოვის გამზირი, კორპუსი N45 - გაკეთდა წყალსაწრეტი მილები;
- მოსკოვის გამზირი, კორპუსი N 36ა - გადაიხურა ბრტყელი სახურავით;
- მოსკოვის გამზირი, კორპუსი N 36ა - გაკეთდა წყალსაწრეტი მილები;
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი N25 -დამონტაჟდა სადარბაზოს კარი;
- ნაკადულის ქუჩა, კორპუსი N2ბ - ამოივსო და მოწესრიგდა სართულშუა ნაპრალები;
- მოსკოვის გამზირი, კორპუსი N48ა -გაკეთდა სადარბაზოს კიბე;
- გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა N142 - გაკეთდა სადარბაზოს კიბე;
- გარდაბნის გზატკეცილი, კორპუსი N6 - გაკეთდა სადარბაზოს კიბე;
- ქინძმარაულის შესახვევი, კორპუსი N26 - შეკეთდა სადარბაზოს კიბე;
- მოსკოვის გამზირი 50ა, კორპუსი N1 - გაკეთდა წყალსაწრეტი მილები;

მაჟორიტარი წევრისა და მისი წარმომადგენლობის, რაიონის აღმასრულებელ ორგანოსთან, მუნიციპალურ გამგეობასთან მჭიდრო კოორდინაციის შედეგად საკმაოდ

ბევრი პროექტი იქნა ბოლომდე მიყვანილი, მაგრამ ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ დარჩენილია უბნები, სადაც არა გვაქვს კანალიზაცია, და შესაბამისად ამ მიზეზით ვერ კეთდება საგზაო სამუშაოები, არა გვაქვს გარე განათება, თვალშისაცემია სკოლამდელი დაწესებულებების, ბაგა-ბაღების უკმარისობა, განსაკუთრებით აფრიკის დასახლებაში, ასევე გვაწუხებს და დასაძლევია მოსახლეობის სიღარიბე და უმუშევრობა.

გაკეთებული საქმე კი გვაძლევს იმის სტიმულს, რომ არ უნდა დავიღალოთ და არ უნდა გავჩერდეთ, მაქსიმალურად უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის მოთხოვნები და შესაძლებლობის ფარგლებში ეტაპობრივად დავაკმაყოფილოთ ისინი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამგორის რაიონის მაჟორიტარი წევრი ქეთევან მამულაშვილი და მისი წარმომადგენლობა კვლავ აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მოქალაქეებთან ერთად პრიორიტეტების განსაზღვრა და ერთობლივი ძალისხმევით პრობლემების მოგვარება მაჟორიტარის და მისი წარმომადგენლობის შემდგომი საქმიანობის უმთავრესი ამოცანა იქნება.